
**ქართული ლიტერატურა ემიგრანტულ პუბლიცისტიკასა
და სალიტერატურო კრიტიკაში**
Georgian Literature in Emigrant Journalism and Literary Criticism

Zaza Abzianidze, Ketevan Elashvili

ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Portrait of Ilia Chavchavadze in the Emigrant Narrative
ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ემიგრანტულ ნარატივში

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10923>

At this stage, we will only touch on the phenomenon of Ilia, thanks to which a suitable place was identified for Georgia on the world political map. For Spiridon Kedia, Ilia was “a rock grown from the heart of the earth”, and for Shalva Amirejibi – “the smartest Georgian”. Aleksandre Manvelishvili also perceived Ilia's contribution in the same spirit. As for Noe Zhordania, he still tried to disguise his long-standing confrontation with Ilia and somehow covered up its scale. Mikheil Tsereteli summarizes all of the above as follows: "Noe Zhordania was able to give the Georgian nation what Ilia Chavchavadze fought for..."

Keywords: Spiridon Kedia, Shalva Amirejibi, Aleksandre Manvelishvili, Noe Jordania, Mikheil Tsereteli

საკვანძო სიტყვები: სპირიდონ კედია, შალვა ამირეჯიბი, ალექსანდრე მანველიშვილი, ნოე ჟორდანია, მიხეილ წერეთელი

ნებისმიერი ერის „ბიოგრაფია“ რჩეულთა ღვაწლით იქმნება, რომლის საფუძველზეც იკვეთება უმთავრესი ისტორიული თუ კულტუროლოგიური აქცენტები. ამ მხრივ გამოწინასწარი არც საქართველოა. ამჯერად, მხოლოდ ილიას ფენომენით შემოვიფარგლებით, რომლის წყალობითაც საქართველოსთვის გამოიკვეთა შესატყვისი ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.

სამწუხაროდ, ილიას ღვაწლის ჯეროვანი შეფასება ვერ შეძლო მისმა უშუალო გარემოცვამ. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ილიას „ისტორიული მისია“ ყურადღების მიღმა დარჩა მთელი იმდროინდელი საზოგადოებისათვის. მხოლოდ მოგვიანებით, შორეულ ემიგრაციაში გადახვეწილი, მისი მტერ-მოყვარენი სრულიად განსხვავებული მიმართებით მიუბრუნდნენ ილიას პიროვნულ დილემას. ყოველივე ამან განაპირობა ემიგრანტული ნარატივის არაერთგვაროვნება. სამშობლოდან გადახვეწა (იძულებით იქნება თუ ნებით...) ერთგვარი განაჩენია და ალბათ ამიტომაცაა ემიგრანტობა „მძიმე ჯვარი“, რომელიც სრულიად სხვა რაკურსში აქცევს სამშობლოს წარსულს, აწმყოსა თუ მომავალს. რადგან სწორედ დისტანცირება გამოჰკვეთს საკუთარი ქვეყნის ყველაზე უცდომელ სატკივარსაც და „ხსნის ილუზიასაც“.

ისტორიული კატაკლიზმების მსხვერპლნი – წინა საუკუნის 20-30-იანი წლების ჩვენი ემიგრანტები, ილია ჭავჭავაძის „პოლიტიკური პორტრეტების“ შექმნით ცდილობდნენ, რომ როგორმე გაეცნობიერებინათ საკუთარი ბედისწერაც, რომლის მიღმაც დარჩა მათი სამშობლო. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ „ემიგრანტული ალბომიდან“ შერჩევით ამოგვეღო ზოგიერთი წერილი, რათა ცხადად გვეჩვენებინა ემიგრანტული ნარატივის სხვადასხვა „დინება“ თუ „შენაკადი“, რაც ასახულია ქვემოთმოხმობილ ქვეთავებში:

სპირიდონ კედია

სპირიდონ კედიას წერილი – „ილია ჭავჭავაძე“, რომელსაც თავად ავტორი მოკრძალებულად ასე ასათაურებს, „ერთი თვალის გადავლებით“, – რეალურად წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის ისტორიული ფენომენის შეცნობას. თუმცა, სპირიდონ კედია ბელეტრისტულ ფორმატში ძეწავს ილიას „ეროვნულ პორტრეტს“, რომლის დეკორსაც ილიასავე მხატვრული აზროვნებით ქმნის.

„ილია თავიდან დასრულებული გვევლინება, ისე როგორც დასრულებულია დედამიწის გულის სიღრმიდან ამოზიდული კლდე...“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 11). ბუნებრივია, ეს მსჯელობა ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენს ილიას მასშტაბის აღსაქმელად. რადგან მასავით არავის შეეძლო არამარტო XIX საუკუნის ბედისწერის გათავისება, არამედ ზოგადად საქართველოს ისტორიული ბედ-იღბლის განჭვრეტა. სპირიდონ კედიასათვის ცხადზე ცხადია ილიას მისიის გათავისება საკუთარი ქვეყნის წინაშე და გამოჰკვეთს მის საოცარ ნიჭს – „ფენომენალურ გაგებას წვრიმალისა და სხვილის სიმეტრიულ პროპორციისა, ნაწილისა და მთელის ურთიერთობისა“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 16). სწორედ ამ უნივერსალურმა ხედვამ შეაძლებინა ილიას, რომ „საქართველოს ეროვნული მეთაური“ გამხდარიყო. ავტორის „სამოქალაქო პროტესტი“ ილიას ასე უღმერთოდ გამეტებისათვის იმ შეულამაზებელი ბრალდებითაა მოწოდებული, სადაც კონკრეტული პიროვნებაა დასახელებული, რომელსაც ერთგვარი პასუხისმგებლობა დააკისრა ქართველმა ერმა. „ქართველი ერი მუხლმოხრით იდგა ჯერ კიდევ დაუკრძალავი ძვირფასი ცხედრის წინაშე, რომ უცებ შემადრწუნებელი სიტყვები შემოესმა: ხესა ჭრიან, ნაფოტი სცვივო“ – ჭირისუფალი ერის შეურაცხყოფა... მიცვალებულის შებღალვა... და... დანაშულის გამართლება! აღმფოთებულმა ერმა მრისხანედ მოიხედა. ამას ამბობდა ნ. ჟორდანი. ეს იყო ავი სულის უადგილო შურისძიება“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 26).

ერთი კია, – სპირიდონ კედიასათვის „მეოთხედი საუკუნის გასვლის“ შემდეგაც კი, უპატივებელია ილია ჭავჭავაძის ასეთი სასტიკი, დაუნდობელი გაყვანა „პოლიტიკური ავანსცენიდან“ და ამიტომაც ასკვნის, რომ „ამ უდიდესი ქართველის მიერ საქართველოს გულში ცნობის ხე უკვე ნაყოფს ისხამს“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 27).

„ცხადია, სპირიდონ კედია არ იყო პარტიის თეორეტიკოსი. ეროვნულ დოქტრინას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძემ და ამ დარგში რაიმე ორიგინალობის გამოჩენა და ახალი სიტყვის თქმა აღარ შეიძლებოდა. სპირიდონ კედია იყო უფრო პოლიტიკური მწერალი-პუბლიცისტი და იშვიათი ნიჭით დაჯილდოვებული მჭევრმეტყველი – ორატორი, და ეს მკვეთრი იარაღი მან სავსებით გამოიყენა ეროვნულ-დემოკრატიული იდეების დასათესად ქართველ ერში“... (შარაძე, I, 1991, გვ. 39).

სწორედ აზრთა ეს წყობა გამოკვეთა სპირიდონ კედიამ ილიას პოლიტიკური დეაწლის უკეთ შესაცნობად.

შალვა ამირეჯიბი

უპირობოდ, თავადაც უნდა იყო პოეტი, მოაზროვნე და ეროვნულ-დემოკრატიული მრწამსით ანთებული, რომ წლების შემდეგ შეიგრძნო ილიას სულის უკვდავება და განუმეორებლობა. სწორედ ამგვარი იყო შალვა ამირეჯიბი, რომელმაც თავის მინიმალისტურ წერილში („ილია ჭავჭა-

ვამე“) მთელი სრულყოფილებით წარმოაჩინა ილიას უნივერსალურობის ფენომენი – გამჭრიახი გონების უსაზღვრო მასშტაბი.

„ისტორიაში იშვიათი მხოლოდ ჭკვიანი კაცია. დიდი ღირსება ილია ჭავჭავაძისა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, იყო და დღესაც ის არის, რომ ის ჭკვიანი ქართველი იყო... და რაც მთავარია – „ილია თვით არის განსახიერება ახალგაზრდობის, ახალი სიტყვის, ახალი აზრის, ახალი ენერჯის“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 28)! რადგან ის ცხოველმყოფელია – დაუმრეტელი ეროვნული იმპულსის განმასახიერებელი, რაც ასე მკვეთრად ილიას არა მარტო მხატვრულ აზროვნებაში, არამედ მის პუბლიცისტიკაში, რაც უმთავრესად აისახა კიდეც მისი „ცხოვრების კანონიკაში“.

შალვა ამირეჯიბისთვის ილია ზეაწეული პათეტიკითაა წარმოსახული.

„ჭაბუკი ილია, ილია პოეტი და მაღალი პატრიოტული მოწოდებით ამხედრებული – წარმტაცი და ქართულ მწერლობის ისტორიის განუმეორებელი სახეა“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 30).

არც იმას ივიწყებს ავტორი, რომ ილიას სიტყვას სრულიად სხვაგვარი სიღრმე და სიბრძნე აქვს. ის არასოდეს არ იძირება და იკარგება სიტყვაში იმგვარად, რომ თავად სიტყვებმა განკარგონ და შთანთქან მისი სათქმელი. ეგებ იმიტომ, რომ „ილიას სიტყვა მუდამ გამჭრიახია. ის არასოდეს არ სცოდავს არა მარტო სიტყვის ამ „ჯანყ მოცულობით“, რომლითაც პოეტების მსგავსად, წინასწარმეტყველნიც სცოდავენ, არამედ იმ ნებადართული ცოდვითაც, რასაც პოეტთა ცხოვრებაში „ლირიკული უწესრიგობა“ ჰქვიათ. ამ კაცს ყველაფერში სამაგალითო წესრიგი ჰქონდა“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 31).

აზრთა ამ „მეტყველებაში“ შალვა ამირეჯიბი ილიას „პოლიტიკურ მრწამსს ლიბერალიზმს“ მიიჩნევს ეროვნული თვითგამოხატვისა თუ თვითგამორკვევის უმთავრეს ხედვად, რადგან

„ილისთვისაც და საქართველოსთვისაც, მას კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა...“ ილიას მთავარი შეხედულება, იმისი თავი აზრი ცხოვრებაზედ გამოიხატა იმ დებულებაში, რომ იდეა სავსებით თავითგან გამოსული და ცხოვრების დასტური ის ორი თვალი არ იყო, ასეთის გამოზომილებით, ერთის ცხვირის გარშემო დალაგებული, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ წარმოდგენას იდეალურ სიმეტრიად მიაჩნია; კაცი თავისი „წინწასული“ სურვილებით და ცხოვრება თავისი გვიანი დასტურით, ძალიან ხშირად, ასე თუ ისე, ასიმეტრიული მოვლენანი არიან. ის რაც თავშეუდებელი პროგრესისტები ცხოვრებაში და აზროვნებაში „რეაქციას“ უმახიან, ხშირად ამისი ნაყოფია“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 31-33).

შალვა ამირეჯიბისათვის კი, შორეულ ემიგრაციაში ყოფნისას, კიდეც უფრო მეტი სიმძაფრით გამოიკვეთა ილიას მასშტაბური ფიგურა, როგორც უდიდესი ქართველის, რადგანაც თავადაც გამორჩეული და ქარიზმატული პიროვნება იყო, რომლის პორტრეტსაც ამგვარად გვიხატავს ვიქტორ ნოზაძე („შალვა ამირეჯიბი“) – სამწუხაროდ მისი გარდაცვალების ჟამსაა შექმნილი:

„შალვა ამირეჯიბი ნაზი ბუნების კაცი იყო, ოღონდ მძიმედ დატვირთული საქართველოზე ფიქრით... მას აწვალებდა და აწამებდა საქართველო... იყო იგი კაცი სიყვარულის ნიჭით აღსავსე და ეს ნიჭი შეაღია ქართველის ბედს... იყო იგი კაცი ტრადიციების, ქართულ ზნე-ჩვეულებათა მიმდევარი... მთელი თავისი არსებით გადაჭვული იყო საქართველოსთან, მის წარსულთან, რომლის საძირკვლებზე მომავალ, აღორძინებულ საქართველოს განსჭვრეტდა“ (შარაძე, 1991, I, გვ. 235).

ალექსანდრე მანველიშვილი

„ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძღვრება“ – ამ წერილის სახელდება, უკვე განსაზღვრავს, რომ ალექსანდრე მანველიშვილისთვის მნიშვნელოვანია ილიას „ეროვნული კონცეფციის“, წლების შემდეგ, კიდეც ერთხელ გამინაარსება და იმ ჭეშმარიტ დებულებებთან კვლავ მიბრუნება, რომელთაც უკვე ცხოვრებისეულად დაამტკიცეს თავისი ქრესტომათიული არსი. რადგან „ილიას სიდი-

ადეს ქმნიდა მისი მთლიანობა, როგორც ბუნებით, ისე მსოფლმხედველობითა და შემოქმედებით“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 186).

ალექსანდრე მანველიშვილი მართებულად მიიჩნევს, რომ ილიას „ეროვნული ფილოსოფიის“ ძირები სწორედ ქართველი ერის წარსულსა თუ აწმყოშია საძიებელი და მხოლოდ „გონების თვალთაა“ შესაძლებელი მისი შეცნობა; „ილიასთვის უცნობი არ იყო მთელი ბუნების წყობის კანონზომიერებანი... ამიტომ შეუძლებელია ერის ორგანიზმშიც არ არსებობდეს მსგავსი კანონზომიერება... მაგრამ ილია ჭავჭავაძისათვის საზოგადოება თვით მიზანი არ არის. ეს მხოლოდ შედარებითია. და საბოლოო ჯამში თვით მიზანი ადამიანია“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 189). ალბათ ამიტომაც იყო, რომ ილია, როგორც „ქართველი ერის უგვირგვინო მეფე“, სწორედ ქართველთა ღირსებისა და კეთილდღეობისათვის იბრძოდა და არა კონკრეტული „კლასის“ სიკეთისათვის“.

ამ მარადიულმა ფასეულობებმა აქცია ილია გამორჩეულ მასშტაბურ ფიგურად. რადგან „ილია ჭავჭავაძე იყო (და არის) უდიდესი მოვლენა ქართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთგვარი სინთეზი ქართველი ერის გონებრივი და მორალური შემოქმედების ხანგრძლივი მემკვიდრეობისა. განსახიერება მისი სასიცოცხლო ძალისა. ნიშანი მისი მომავალი დიდებისა“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 185).

ალექსანდრე მანველიშვილისათვის საქართველოს ისტორია და მისი კულტურა ეროვნული აზროვნების უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტი იყო, რომლის შეცნობაც ილიას წყალობით გახდა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ ილაშქრებდა ის ყველა იმ მოსაზრების წინააღმდეგ, სადაც ჩვენი თვითმყოფადობა ეჭვქვეშ იყო დაყენებული, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთს მიაჩნდა,

„რომ მთელი ჩვენი კულტურა არის შედეგი რაღაც „გავლენებისა“: ხან სპარსეთის, ხან არაბეთის, ბიზანტიის, ევროპის და სხვა, ხოლო ფიქრად არავის მოსდიოდა, ჩაეხედა საკუთარ სულში, გადაეთვალაიერებინა ეროვნულ-კულტურული შემოქმედება და ნახავდა, რომ ქართველმა ერმა ყოველ სფეროში თავისი საკუთარი კულტურაც შექმნა. უცხო ელემენტები კი ისე გარდაქმნა, რომ ის სავსებით ეროვნულ გზებსა და მიმართულებას დაუმორჩილა“ (შარაძე, II, 1991, გვ. 429).

მიხეილ წერეთელი

მიხეილ წერეთელი ორმოცდაათწლიანი ინტერვალის შემდეგაც, კიდევ ერთხელ, ახდენს „ილიას ვერაგულად მოკვლის“ არსებულ ფაქტორთა გაანალიზებას წერილში – „ილია ჭავჭავაძის მოკვლა“. რადგან ეს „მკვლელობა“ არ იყო კონკრეტული ადამიანის მოშობა – ეს იყო „დასაწყისი საქართველოს უკანასკნელი ტრაგედიისა?.. ილია დაეცა ამ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა საქართველოში ილიას ეროვნულ იდეოლოგიასა და უცხო, შორიდან შემოტანილ მარქსიზმს შორის“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 166).

მიხეილ წერეთელი, ზედმიწევნით იცნობს რა საქართველოს ისტორიას, კარგად უწყის, რომ ეს მსოფლმხედვა უცხოა ქართველი ერისათვის, რადგან სრულიად – შეუსაბამოა ჩვენი ეთნოფსიქოლოგიისათვისა თუ ეთნოკულტურისათვის. ილია, როგორც ფენომენალური პოლიტიკური მოაზროვნე, ამ „ჩატეხილი ხიდის“ არსებობას აფიქსირებდა და ცდილობდა როგორმე აერიდებინა საქართველოსთვის მოსალოდნელი საფრთხე – შემდგომში „წითელ ტერორად“ სახელდებული. სწორედ ამიტომ იყო, რომ „ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ ფ. მახარაძე გაქრა საქართველოთგან, ხოლო არა ვითარცა სინდისშეწუხებული იუდა, არამედ ვითარცა იუდა იუდის საქმეთა გამგრძობი“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 173).

დანარჩენ ემიგრანტთაგან განსხვავებით, მიხეილ წერეთელი ნოე ჟორდანიას* ერთგვარ რეაბილიტაციასაც კი ახდენს და მიიჩნევს, რომ „ნოე ჟორდანიას და მისნი თანამოაზრენი (ბუნებრივია – ავტორი აქ საკუთარ თავსაც გულისხმობს), რომელნიც აგრეთვე მსხვერპლნი გახდნენ ბოლშევიზ-

* მიხაკო წერეთელი თვლის, რომ „ნოე ჟორდანიამ შეძლო ქართველი ერისათვის ის მიეცა, რისთვისაც ილია ჭავჭავაძე იბრძოდა, რომელთანაც მას წინათ მუდმივი თეორიული დავა და შეტაკება ჰქონდა...“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1991, გვ. 175).

მისა თვით მთელი საქართველოს მსხვერპლად მიმტანისა სატანის საკურთხეველზედ“ (ილია ემიგრანტთა თვალთ, I, 1996, გვ. 179).

სწორედ „ილიას ვერაგულად მოკვლით“ დაიწყო ის უმართავი პოლიტიკური კატაკლიზმები, რომელთა უშუალო მსხვერპლად მოგვევლინა ის ინტელექტუალური ბირთვი ჩვენი „პოლიტემიგრანტებისა“, რომელთა გადინებამაც 70-წლიან ჩიხში მოაქცია საქართველო. ხოლო ამ „იდეოლოგიური სტიქიის – ბოლშევიზმის“ საპირწონედ, ერის სულიერი სიფხიზლის საფრთხედ, ილია ჭავჭავაძის ფენომენი იყო აღქმული...

„სწორედ 1907 წლის აგვისტოში ილიას საზარელი მკვლელობა გახდა ის მოვლენა, რომელმაც მთლიანად შეცვალა მისი (მიხეილ წერეთლის) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ვექტორი. ადამიანი, რომელიც 1900-1907 წლებში იყო ანარქისტი, 1907 წლის აგვისტოდან ხანგრძლივი ცხოვრების ბოლომდე (მიხაკო აღესრულა 87 წლის ასაკში) იყო დაჯერებული, უაღრესად საღად მოაზროვნე ნაციონალისტი, ილიას გზის ღირსეული გამგრძელებელი“ (ურუშაძე, 2012, გვ. 9).

ზემოხსენებული წერილის გარდა, „მიხაკო წერეთელსვე უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ცალკე ფურცლებად დაბეჭდილი „მოწოდების“ ტექსტიც, რომელიც ილიას გარდაცვალების დღეებში გავრცელდა მთელს საქართველოში და რომლის საფუძველზე მოეწყო ილია ჭავჭავაძის გრანდიოზული დასაფლავება თბილისში, მთაწმინდაზე 1907 წლის 9 სექტემბერს. ამონარიდი „მოწოდების“ ტექსტიდან:

„არც ერთი ფაქტი ჩვენის ცხოვრების უბედობის დამახასიათებელი ისეთი თავზარდამცემი არა ყოფილა საქართველოსათვის, როგორც ილია ჭავჭავაძის სიკვდილი! თავზარდამცემია ეს საშინელება იმიტომ, რომ მეორე ილია აღარ გვყავს და მგონი აღარც დაიბადოს!.. მისი გონების შემოქმედება იყო ჩვენი ერთად ერთი დიდება, სინტეზის ჩვენი ლიტერატურისა; ილია იყო ჩვენი პუბლიცისტი, ბელეტრისტი, პოეტი, – ყოველისფერი, – თითქმის მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში!“ (შარაძე, I, 1991, გვ. 315).

იგივე პათოსია მიხაკო წერეთლის ამ წერილშიც – „კაცია ადამიანი?!“*;

„საზარელი ამბავი“ ილია ჭავჭავაძის სიკვდილისა მეხვიით დაატყდა მთელ საქართველოს! მოჰკლეს ვინ – ილია ჭავჭავაძე! არავინ თავის გულში ფიქრდაც არ გაივლიდა ასეთ საზარელს, საზიზღარს და უცნაურს!.. ვინ მოჰკლა ილია? – აი, საშინელი კითხვა, რომელიც დღეს მთელ ერს უდგია წინ და რომელიც დაუყოვნებელ პასუხს თხოულობს. პასუხის გაუმცემლობა მთელ ერს საშინელ, სამუდამო სირცხილის ლაფში ამოსვრით ემუქრება!.. თუ მართლაც ილია ქართველებმა მოკვალით და შევირცხვინეთ თავი ამიერიდან უკუნისამდე, სამარადისოდ გამოვრიცხეთ ჩვენვე ჩვენი თავი ხალხთა რიცხვიდან, მთელი კაცობრიობიდან...“ (ურუშაძე, 2012, გვ. 73-74).

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მიხაკო წერეთელი თავადვე იყო მასშტაბური პიროვნება, რომელიც მეტრი იყო ჰუმანიტარული თუ კულტუროლოგიური დისციპლინებისა და ასევე ზედმიწევნით იცოდა პოლიტიდოლოგიის თანამედროვე დოქტრინები (გარკვეული პერიოდი – თავადაც მოქმედი პოლიტიკოსი). სწორედ ამიტომ, ილიას ფენომენის სიდიადე, როგორც „ერის მამის“ მისთვის ცხადზე უცხადესი იყო.

ნოე ჟორდანია

ის ამბივალენტური განწყობა, რაც წარმოიშვა ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის, მთელი სიმძაფრითაა მოწოდებული ნოე ჟორდანიას წერილში – „ორი პოეტი“. ეს წერილი სწორედ

* წერილი – „კაცია ადამიანი?!“ დაიბეჭდა სოციალისტ-ფედერალისტების ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაზეთში – „ისარი“ (2 სექტ., 1907 წ., Baton).

იმგვარადაა დასათაურებული, რომ პოლიტიკურ ავანსცენას ჩამოაშოროს ილიას „სახელი“ და მარტოდენ ქართულ მწერლობას მიაკუთვნოს. მხოლოდ აქ ერთი მინიშნებაც უნდა დავუროთ – ავტორ აკაკი წერეთელთან თანადაწყვილებით, ზოგჯერ კი – მის ჩრდილ ქვეშ მოქცევით განიხილავს ილიას არათუ მხატვრულ აზროვნებას, არამედ მის, როგორც „ერის მოძღვრის“ ფენომენს.

რა უნდა იყოს ნებისმიერი მწერლისათვის იმაზე მეტად მიუღებელი, როდესაც მთელ მის შემოქმედებას განსაზღვრულ პროგრამულ ჩარჩოს უქვემდებარებ; „ილიას ენა არის მრისხანე, სევდიანი, დინჯი, დამაფიქრებელი; აკაკის („უპროგრამო“...) პირიქით, მსუბუქი, ცქრიალა, ადვილი გასაგები, სიმბივით აწყობილი“ („ილია ემიგრანტთა თვალთ“, I, 1991, გვ. 148). წარმოდგენელია ამაზე მეტი განაჩენი?! თითქოსდა, მას წლების შემდეგ მაინც უნდა შეეგრძნო, „ილიას სიდიადე“, არადა მის ერთგვარ დაკნინებას კვლავ აგრძელებს ამ წერილით. „ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა“* ეს ის დაუსრულებელი განხეთქილებაა, ის „ჩატეხილი ხიდა“ ის სრულიად სხვადასხვა ნაპირზე დგომაა, რომლის წინაშეც დროც უძღურია. თუმცა, ნოე ჟორდანიას თანამოაზრენი და ილიას სიდიადის შემცნობნიც* დილობდნენ ამ დაპირისპირების ერთგვარ ჩახშობას.

სამწუხაროდ, ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძეს არც ქართულ მწერლობაში არ მიუჩენს ჯეროვან ადგილს. უბრალოდ თვლის, რომ „პირველათ ილიამ აიღო, ნაციონალური ქნარი და მასზე აჟღერა თავისი აზრები... მისი ნაციონალური იდეა გაჟღერებული იყო სოციალური იდეით. მისთვის ერის აღორძინება ნიშნავდა ხალხის აღორძინებას... ილია მართალი იყო იმაში, რომ უარყო რუსული ნაროდნიკული იდეოლოგია და საჭიროთ დაინახა საზოგადოებაზე დაყრდნობა...“ („ილია ემიგრანტთა თვალთ“, I, 1991, გვ. 149-154).

ნოე ჟორდანიას „პოლიტიკური პორტრეტის“ შექმნისას, ვახტანგ გურული გვერდს ვერ უვლის ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის გაჩენილი „ისტორიულ ნაპრალს“ და ცდილობს მის მეტნაკლებად უარყოფას:

„ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძის მტერი არ ყოფილა. მას არასოდეს უცდია ერის წინამძღოლის ნააზრევისა და ნალვაწის უარყოფა. მათი პოლემიკა მხოლოდ და მხოლოდ იმის მაჩვენებელი იყო, რომ ორმა განსხვავებულმა ეპოქამ საქართველოს ხსნის ორის განსხვავებული პროგრამა წამოაყენა და ამდენად, ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა განვიხილოთ“ (გურული, 1999, გვ. 57).

აქ აუცილებელია ერთი რამის გათვალისწინება, რომ მიუხედავად ნოე ჟორდანიას განდიდებისას, რასაც ახდენს ვახტანგ გურული** – თავად ნოე ჟორდანია, წლების შემდეგაც, „პოლიტიკური ინფანტილიზმის“ ჟანრში ცდილობს ილიას ღვაწლის შეცნობას და არ ახდენს მის ჯეროვან შეფასებას.

სამწუხაროდ, ილიას მასშტაბის აღქმა ყოველთვის გარკვეულ ორაზროვნებას ბადებდა, ან მარტოდენ ხოტბის შესხმა იყო, ან უკიდურესი დაკნინება. მხოლოდ მცირე გამოწკლისი იყო ილიას თანამედროვეთა შორის, ვინც ამ ღირსეული პიროვნების „გონების თვალთ“ აღიქვამდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას...

სწორედ ამიტომ, რომ ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ იკვეთება ყველა ტექსტსა თუ ქვეტექსტში ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ილია იყო და არის იმგვარი მასშტაბური ისტორიული ფიგურა, რომელთანაც თავის გატოლებით ჩვენს ემიგრანტებს სურდათ საკუთარი ღვაწლის უკეთ წარმოჩენა.

* „ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო სერგო რატინმა), 2022 წ. სიღრმისეულად, დისკურსის ჭრილში გაანალიზირებული ეს „განხეთქილება“. განსაკუთრებით კი გამოკვეთილია ამ ნარატივში – „მოდერნულობის ორი განსხვავებული პროექტი – ილია ჭავჭავაძე, ნოე ჟორდანია“, გვ. 283-391.

* ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990, გვ. 33-34.

** „ნოე ჟორდანია, როგორც მოაზროვნე და როგორც პოლიტიკური მოღვაწე, სრულიად ორიგინალური მოვლენა იყო საქართველოს ახალ ისტორიაში“ (გურული, 1999, გვ. 7).

გამოყენებული ლიტერატურა:

- გურული, ვ. (1999). „ნოე ჟორდანია“, პოლიტიკური პორტრეტი.
ილია ემიგრანტთა თვალით, (1996). I-II, თბილისი: „ლომისი“.
ჟორდანია, ნ. (1990). ჩემი წარსული, თბილისი: „სარანგი“.
ურუშაძე, ლ. (2012). დიადი სულის უკვდავება, მიხაკო წერეთელი, თბილისი: არტანუჯი“.
შარაძე, გ. (1991). უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბილისი: „მერანი“.
შარაძე, გ. (1993). უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მეორე, თბილისი: „მერანი“.

References:

- Guruli, V. (1999). „Noe Zhordania“, p'olit'ik'uri p'ort'ret'i. [“Noah Jordania”, a political portrait].
Ilia emigrant'ta tvalit, (1996). [Ilia through the eyes of immigrants]. I-II. Tbilisi: „lomisi“.
Urushadze, L. (2012). Diadi sulis uk'vdaveba. Mikhak'o Ts'ereteli. [The immortality of a great soul. Mikhako Tsereteli].
Tbilisi: „art'anuji“.
Sharadze, G. (1991). Utskhoetis tsis kvesh. Ts'igni p'irveli. [Under the foreign sky, book one]. Tbilisi: „merani“.
Sharadze, G. (1993). Utskhoetis tsis kvesh. Ts'igni meore. [Under the foreign sky, book two]. Tbilisi: „merani“.
Zhordania, N. (1990). Chemi ts'arsuli. [My past]. Tbilisi: „sarangi“.